ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

აქაც წარმატება!

ესტერსუნდი, 20 თებერვალი. შვეციის ამ ქალაქის შემოგარენში საბჭოთა ბიატლონისტმა ა. ტიხონოვმა (ნოვოსიბირსკი) მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. მან მოიგო 20-კილომეტრიანი სათხილამურო რბოლა სროლით — 1:23.42,1 (2 საჯარიმო წუთი). II ადგილზეა მსოფლიოს 1967 და 1968 წლების ჩემპიონი იუნიორთა შორის, ნორვეგიელი ტ. სვენდსბერგეტი — 1:24.35,0 (2). ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ნოვოსიბირსკელი ვ. მამატოვი — 1:25.00,4 (2).

✦ „დიდი ფეხბურთის“ პირველი მატჩები— ბაქოში, სოჭში, გროზნოში...

✦ კალათბურთელთა ჩემპიონატის დასავლითი ტური—თბილისში

✦ თასი — მოსკოვის „სპარტაკის“ ჰოკეისტებს

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივ „დინამოსა“ და ვარშავის „პოლონიას“ კალათბურთელთა შორის.

სურათზე: ლ. მოსეშვილი უტევს მეტოქის კალათს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

●

(ამ მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 36 (4030)

21 თებერვალი, 1970 წ. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

უძლიერესის სახელისთვის

დღეს ფოთში სტარტს აიღებს საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატი. ტურნირში მონაწილეობენ რესპუბლიკის შარშანდელი ჩემპიონი, ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, საერთაშორისო ოსტატი ბ. გურგენიძე, ოსტატები ა. ბუსლაევი, თ. გიორგაძე, ა. ბოკუჩავა, ე. უბილავა, ი. ჩიქოვანი, ჯ. იზვოზჩიკოვი, ოსტატობის კანდიდატები, თბილისის ჩემპიონი ს. ჩეჩელიანი, დ. ჯანოევი, ზ. მიქაძე, მ. ლევინი (ყველა — თბილისი), ლ. ნეურონოვი (ბათუმი) და პირველთანრიგოსანი დ. გედევანიშვილი (თბილისი).



ა. ოლიუნინა.

ტელეფოტო ჩტკ — საკდესისა.

შტრბსკე-პლესო, 19 თებერვალი. გუშინ ქალებმა 10 კმ-ზე რბოლით ინდივიდუალური ტურნირი დაამთავრეს, დღეს კი სარბიელზე 4×10 კმ-ზე ესტაფეტაში მოასპარეზე ვაჟები გამოვიდნენ. მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა სტარტზე იმდენი დერეფანი მოაწყვეს, რამდენმა გუნდმაც გამარჯვებისთვის ბრძოლაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა — 18, ფავორიტებად კი მხოლოდ ხუთ გუნდს — ნორვეგიის, შვეციის, გდრ-ის, ფინეთისა და სსრ კავშირის კვარტეტებს მიიჩნევდნენ.

საბჭოთა ოთხეულიდან ოთხივე მოსკოველი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იყო. პირველ ეტაპზე ვ. ვორონკოვი გამოდიოდა. შუა დისტანციაზე მას ასწრებდნენ ლესტანდერი (შვეცია), მარტინსენი (ნორვეგია) და მასპინძელი ფაისტვარი, კიდევ 3 კილომეტრის შემდეგ კი ვორონკოვმა III ადგილზე გადაინაცვლა. მოსკოველი მოთხილამურე თავისი ეტაპის ფინიშამდე რბოლის ლიდერი გახდა, მაგრამ ზედ ფინიშთან მას მარტინსონმა ისევ გაუსწრო და თანაგუნდელი გრიონინგენის მხარს ესტაფეტის გადაცემის ნიშნად პირველი შეეხო.

ამრიგად, მეორე ეტაპს ორიოდე წამით გვიან დაადგა ვ. ტარაკანოვი, რომელსაც გრიონინგენის ჩამოტოვება არ გასჭირვებია და, ვიდრე ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ, ლესერმა მოულოდნელად დააწინაურა გდრ-ის გუნდი.

გერმანელებმა ლიდერობა მესამე ეტაპზეც შეინარჩუნეს, ოღონდ ახლა ფ. სიმაშოვმა მდგომარეობა იმდენად გამოასწორა, რომ ბოლო ეტაპზე მან ვ. ვედენინს მხოლოდ 2 წამით გვიან გადასცა ესტაფეტა, ვიდრე გერმანელმა თანაგუნდელს.

ბოლო ეტაპზე ლიდერები ასეთი თანმიმდევრობით გავიდნენ: გდრ, სსრ კავშირი, შვეცია, ნორვეგია. ლიდერებმა მიღწეული წარმატების შენარჩუნება კლაუსეს მიანდეს, შვედებმა — 15 კმ-ზე რბოლაში მსოფლიო ჩემპიონს ასლუნდს, ნორვეგიელებმა — სტენეიდს.

ბრძოლის დაძაბულობამ ზენიტს მიაღწია. კლაუსე ლიდერობას ინარჩუნებს, ასლუნდმა ვედენინს გაუსწრო. თითქოს სტენეიდსაც არა აქვს საქმე ცუდად. რაც მთავარია, ლიდერთა ოთხეული ერთმანეთს ფეხდაფეხ მიჰყვება და გადაწყვეტით რაიმეს თქმა არ შეიძლება, ვინაიდან ფინიშამდე კიდევ ბევრი რამაა მოსალოდნელი, მით უმეტეს, რომ სპორტსმენებს წინ საკმაოდ გრძელი დაღმართი აქვთ, რომელსაც ადგილების საბოლოო განაწილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა შეუძლია. სწორედ ამ მონაკვეთზე ამუშავდა ვედენინი, დაღმართი ყველაზე მოხერხებულად ჩაიქროლა და, როცა ფინიშამდე ასიოდე მეტრიღა დარჩა, მისი უპირატესობა ეჭვს უკვე აღარ იწვევდა.

სსრ კავშირის სპორტსმენებმა გაიმარჯვეს — 2:06.36,47. გდრ-ის გუნდი ვერცხლს დასჯერდა — 2:06.50,56. შვედებს ბრინჯაო დარჩათ.

დარჩენილ სახეობებში ასპარეზობის შედეგების მიუხედავად, სსრ კავშირის მოთხილამურეებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობა უკვე მოიპოვეს. ეს დიდი წარმატებაა.

შტრბსკე-პლესო, 20 თებერვალი. სსრ კავშირის ვაჟთა კვარტეტს არც ამ ქვეყნის ქალების ტრიო ჩამორჩა. 3×5 კმ-ზე ესტაფეტის პირველ ეტაპზე ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ნ. ფიოდოროვა დაწინაურდა. მისი მონაპოვარი მეორე ეტაპზე იჟევსკელმა ოსტატმა გ. კულაკოვამ კიდევ უფრო გაზარდა, ხოლო ბოლოს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. ოლიუნინამ, რომელმაც მანამდე 10 კმ-ზე რბენაში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება, თანაგუნდელების უპირატესობა კიდევ უფრო განამტკიცა. ამრიგად, ოქროს მედლები დაისაკუთრეს სსრ კავშირის ნაკრების წევრებმა. II ადგილზეა გდრ-ის გუნდი, III — ფინეთის კოლექტივი.

ისევ ოქროს თოვა

ვ. ვორონკოვი

ვ. ტარაკანოვი

ფ. სიმაშოვი



ვ. ვედენინი

20½

◆ ვილნიუსი, 20 თებერვალი. წუხელ სტარტი აიღეს ბალტიისპირეთის ავტორალის — სსრ კავშირის ზამთრის გუნდური პირველობის მონაწილეებმა. ეს შეჯიბრება მეთერთმეტედ ტარდება. რალიში ჩაება 23 გუნდი, რომელთა შემადგენლობაში „ვოლგის“, „მოსკვიჩ-412“-ის ან „ზაპოროჟეცის“ 3-3 ეკიპაჟია. რალის მონაწილეებმა 44 საათში ლიტვის გზებზე 2689 კმ უნდა დაფარონ. მათ აგრეთვე ელით შეჯიბრებები საიპოდრომო რბოლასა და ავტოსლალომში. „რალი-69“-ის გამარჯვებულთა თასი ახლა ვილნიუსის ტაქსომოტორის ფარეხის სპორტსმენებს აქვთ.

შამთა სიავე

ბაქო, 20 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ძნელია ჩამოშორდე საყვარელ საქმიანობას, რომელსაც წლები შეალიე და მთელი ახალგაზრდული ძალ-ღონე მოახმარე. რას იზამ? მომღერალი უნდა ჩამოვიდეს სცენიდან, როცა მის ხმას ძველებური ჟღერადობა დააკლდება. ასე მოიქცა 33 წლის ასაკში მსოფლიოს 12-გზის ჩემპიონი რაპირით ფარიკაობაში გ. სვეშნიკოვი. მან შეატყო, რომ მისი იარაღი კვლავინდებურად ბასრი არ იყო და სარბიელის დატოვება გადაწყვიტა. რას იზამ?..

სსრ კავშირის თასის აქ მიმდინარე გათამაშებაში სვეშნიკოვი მსაჯის როლში მოგვევლინა. ბაქოელი მაყურებელი მუდამ აღტაცებით ხვდება მის გამოჩენას სპორტის სასახლეში. ვეტერანი მართლაც ღირსია ასეთი გულთბილი შეხვედრისა. თავმდაბალი, უაღრესად კორექტული, გულწრფელი სვეშნიკოვი მუდამ იძლეოდა იმის მაგალითს, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი სპორტსმენი და მოქალაქე. ამჟამად იგი გატაცებით ლაპარაკობს თავის აღსაზრდელებზე, რომლებსაც მშობლიურ ქალაქ გორკში ამეცადინებს. ვუსურვოთ მას გამარჯვება პედაგოგიურ სარბიელზეც.

ახლა რაპირისტ ვაჟთა ასპარეზობის შესახებ. დავიწყებ იქიდან, რომ ამ შეხვედრებს აკლდა ის აზარტი და დრამატულობა, რომელიც ხმლით მოფარიკავეთა და რაპირისტ ქალთა ასპარეზობისას იგრძნობოდა. ეს, ალბათ, იმითაც იყო გამოწვეული, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა ბევრი ცნობილი სპორტსმენი. ფინალში გასულთა შორის ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ვ. სტანკოვიჩმა, რომელმაც დამსახურებულად დაისაკუთრა თასი.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა ახალგაზრდა, მზარდი მოფარიკავე ბ. მათითაიშვილი. მან შესანიშნავად დაიწყო შეჯიბრება: წინასწარ შეხვედრებში ზედიზედ დაამარცხა გამოცდილი მეტოქეები და მეოთხედფინალში გავიდა. მათითაიშვილი ამ ეტაპზეც თავგამოდებით იბრძოდა: 5 შეხვედრიდან 3 მოიგო, მათ შორის, მსოფლიო ჩემპიონ ლ. რომანოვთან. ნახევარფინალის გზაზე ქართველ მოფარიკავეს თითქმის არაფერი ეღობებოდა წინ, მაგრამ რომანოვმა, რომელმაც მომდევნო საფეხურზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგა, სპორტსმენისთვის აშკარად შეუფერებელი საქციელი იკადრა: ბრძოლა დიდი ანგარიშით დაუთმო ს. ვოლოშინს და ჩხვლეტათა უარესი შეფარდების გამო მათითაიშვილი შეჯიბრებას გამოეთიშა.

გაგაცნობთ პირველ ექვსეულს: 1. ვ. სტანკოვიჩი (უკრაინა), 2. ვ. ლუკიანჩენკო (რსფსრ), 3. ე. ჟლუდკო, 4. ვ. პუტიატინი (ორივე — უკრაინა), 5. ვ. დენისოვი (რსფსრ), 6. პ. ლეიბოვიჩი (უკრაინა). მათითაიშვილი XIII ადგილზეა.

წუხელ დამთავრდა დაშნით მოფარიკავეთა ასპარეზობა. სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კოსტავა მეოთხედფინალიდან გამოეთიშა შეჯიბრებას, ხოლო ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი ი. სიხარულიძე წინასწარ შეხვედრებშივე დამარცხდა.

დაშნით მოფარიკავე პრიზიორთა სამეული ასეთია: 1. ო. პუზანოვი (რსფსრ), 2. ა. ლივაკი (ესტონეთი), 3. ი. სმოლიაკოვი (ბელორუსია).

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

საქართველოს ალკკ XXVIII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ!

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XXVIII ყრილობა გაიხსნება 1970 წლის 26 თებერვალს, 10 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 24 თებერვალს 15 საათიდან 22 საათამდე, 25 თებერვალს — 10 საათიდან 22 საათამდე თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სარკეებიან დარბაზში (რუსთაველის პრ. № 6), 26 თებერვალს — 8 საათსა და 30 წუთიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

ᲓᲐᲤᲓᲐᲤᲔᲑᲘ

ᲐᲠᲘᲐᲜ ადამიანები, რომლებიც თავმდაბლად, უხმაუროდ ემსახურებიან დიდსა და კეთილშობილურ საქმეს. ზოგიერთი დაფდაფების გრიალით მიილტვის სახელის მოსახვეჭად.

ბათუმში ჩავედი თუ არა, „საბჭოთა აჭარის“ ახალი ნომერი გადავათვალიერე. გაზეთის ფურცლებზე ბევრი საინტერესო რამ შემხვდა გემთსაშენი ქარხნის შრომითს წარმატებებზე. არც მიფიქრია, რომ ქარხანაში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობაც სახელოვანი კოლექტივის საკადრისად არ იქნებოდა წარმართული. გამახსენდა, რომ უკვე წელიწადია „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა გემთმშენებელთა მიმართვა რესპუბლიკის კოლექტივებისადმი მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის უკეთ დაყენების თაობაზე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ქარხანაში შემევლო. მაინტერესებდა, როგორ სრულდებოდა ვალდებულება.

„განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს ინსტრუქტორი ვ. გუდნიკი გემთმშენებლებთან რამდენიმე წელიწადს მუშაობდა ფიზკულტურის ინსტრუქტორად. იგი სიამოვნებით დამეთანხმა მეგზურობაზე. ეზოს ერთ კუთხეში და კატარღაშენებელთა საამქროში გემოვნებით გაფორმებული სპორტული ვიტრინები გვიჩვენეს. ალბათ, ფიქრობდნენ, ესეც საკმაო იქნება შთაბეჭდილების მოსახდენად, მაგრამ როცა უფრო ღრმად ჩავდიე, სხვა სურათი აღმოჩნდა.

— მეთოდისტი ადგილზე არ გახლავთო, — გვითხრეს სპორტსმენებმა, როცა ფიზკულტურული მუშაობის გაცნობა მოვისურვეთ. თუმცა, როგორც შემდგომ დავრწმუნდით, მეთოდისტი საქმეს ვერაფერს უშველიდა. გემთმშენებლებს მთელი წლის განმავლობაში ერთი საინტერესო ღონისძიებაც არ ჩაუტარებიათ, დაფდაფებს კი დასცხეს, და მერე როგორ!

ზემოხსენებული მიმართვის პირველივე სტრიქონებში ქარხნის ყველაზე ავტორიტეტული პირები აცხადებდნენ: „გემთმშენებელთა კოლექტივი, ითვალისწინებს რა ფიზკულტურის როლს მშრომელთა განმრთელობის, ძალის, ჯანსაღობის, ამტანობის, დისციპლინის, კოლექტივიზმის, კულტურული ქცევის, შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისადმი სოციალისტური დამოკიდებულების განმტკიცებას საქმეში, რესპუბლიკის ყველა საწარმოს, დაწესებულების, სასწავლებლის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კოლექტივებს მოუწოდებს შეისწავლონ საკუთარი შესაძლებლობანი, ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში, იბრძოლონ ფიზკულტურისა და სპორტის უფრო მაღალ დონეზე დაყენებისთვის, რომ ამით ხელი შეუწყონ თავიანთი თანამშრომლების სიჯანსაღის და შრომისნაყოფიერების ზრდას, სპორტული მაჩვენებლების ამაღლებას, რესპუბლიკური ნაკრები გუნდების წარმატებას...“

გემთმშენებლებმა ივალდებულეს ქარხნის ტერიტორიაზე მოეწყოთ ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის მოედნები, მაგიდის ჩოგბურთის სარბიელი, სარბენი ბილიკები, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომისა და ტყორცნის სექტორები, უზრუნველეყოთ ბაზები აუცილებელი ინვენტარით და ყველა ეს სამუშაო იმ წელიწადსვე დაემთავრებინთ. სინამდვილეში? თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქარხნის მახლობლად დიდი ხნის ნაოცნებარი კომპლექსური სპორტული მოედნების მშენებლობის დაწყებას, ჯერჯერობით სიტყვა საქმედ არ ქცეულა.

მიმართვის ავტორებს ისიც გვინდა ვკითხოთ, რატომ არ ჩამოყალიბდა მძლეოსნობის, ნიჩბოსნობის, ცურვის, კალათბურთის, ხელბურთის სექციები, ან საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთა საერთო ფიზმომზადების ჯგუფები? აღარას ვამბობთ იმაზე, რომ, ვალდებულებით, 25 წლის ასაკამდე ყველა ფიზკულტურელი რომელიმე სპორტულ სექციაში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული და ყოველ მათგანს საზოგადოებრივი მუშაკის სახელი უნდა მიეღო. შიდასაკოლექტივო ტურნირები ამ საწარმოს მუშა-მოსამსახურეებისთვის სანატრელი გახდა, საქალაქო შეჯიბრებებშიც იშვიათად გამოდიან.

საგულისხმო ფაქტებს წავაწყდით „განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაშიც (№ 9), რომლის შიხედვითაც ერთ დროს მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივი ახლა თითქმის უმოქმედოდაა: საამქროების ფიზკულტურულ კოლექტივთა საბჭოებში აღრიცხვიანობა აღარ არსებობს, არ ჩატარებულა ჯანმრთელობის სპარტაკიადები, მძლეოსნური კროსები, არ გამართულა შეჯიბრებები ისეთ მასობრივ-გამაჯანსაღებელ სახეობებში, როგორიცაა ტურიზმი, თევზაობა, ნადირობა, ხალხური ნიჩბოსნობა, რეგულარულად არ ტარდება საწარმოო ტანვარჯიში. ქარხნის ნაკრებმა გუნდებმა დაკარგეს კარგი ტრადიციები.

არ შეიძლება არ გაგახსენდეთ გემთმშენებელთა ვალდებულების ბოლო პუნქტი, სადაც ნათქვამია: „საქარხნო თათბირზე თვეში ერთხელ მოვიხმენთ ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტის ინფორმაციას საამქროებში, განყოფილებებში და უბნებზე მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ“.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. კვაჭაძემ ერთადერთი ოქმი შემოგვთავაზა: 18 მარტს საქარხნო კომიტეტის სხდომაზე განუხილავთ ქარხანაში ფიზკულტურულ-სპორტმასობრივი მუშაობისა და საწარმოო ტანვარჯიშის მდგომარეობის საკითხი. ნაკლოვანებები აღუნიშნავთ, მაგრამ აქაც მხოლოდ ლაპარაკით დაკმაყოფილებულან. საქმე არც ამჯერად გაკეთებულა.

ფაქტს ვერ გაექცევი: ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გამო პასუხისმგებლობა პირველ ყოვლისა ქარხნის მესვეურთ ეკისრებათ. მათივე ხელმოწერილი საბუთი ადასტურებს, რომ კარგად აქვთ შეგნებული ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობა. მაშრატომ არ სრულდება ნაკისრი ვალდებულება?

ამ შეკითხვაზე შეიძლება პასუხი აჭარის სათანადო ორგანიზაციებმა გაგვცენ.

თ. ᲑᲐᲠᲔᲯᲘᲚᲐᲫᲔ.

(ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.).

ბათუმი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა ფეხბურთის სამმართველოსა და ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის მიერ წარდგენილი საქართველოს წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატის დებულება.

გათამაშების I ჯგუფში, სადაც თამაშები დაიწყება 1 მარტს, მონაწილეობას მიიღებს 23 გუნდი, რომლებიც პირველობას გაითამაშებენ ორ წრედ. გამარჯვებულ კოლექტივს მიეკუთვნება საქართველოს ჩემპიონის წოდება და 1971 წელს ითამაშებს „ბ“ კლასში, ხოლო „ბ“ კლასის ის გუნდი, რომელიც უარეს ადგილს დაიკავებს „ბ“ კლასში მონაწილე საქართველოს გუნდებს შორის წლევანდელ გათამაშებაში, გაისად გადაუვანილ იქნება რესპუბლიკურ ჩემპიონატში. საქართველოს პირველობაში ბოლო ხუთ ადგილზე გასული გუნდები 1971 წელს ითამაშებენ II ჯგუფში იმ ანგარიშით, რომ გაისად I ჯგუფის გუნდების რაოდენობამ შეადგინოს 20 ერთეული.

რესპუბლიკური პირველობის II ჯგუფში დამტკიცებულია 30 გუნდი, რომლებიც ტერიტორიული ნიშნის მიხედვით დაიყოფიან ორ ზონად. II ჯგუფის ზონებში I ადგილებზე გასული გუნდები გაისად მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ჩემპიონატის I ჯგუფში, ხოლო ამავე ზონებში ბოლო ადგილებზე გასულნი გამოეთიშებიან II ჯგუფის შემადგენლობას. II ჯგუფში შეჯიბრება დაიწყება 4 აპრილს.

რესპუბლიკური ზონალური შეჯიბრებები ჩატარდება მაის-ივლისში, ორ წრედ, ხოლო ფინალური შეჯიბრებები — აგვისტო-სექტემბერში. გუნდები, რომლებიც ზონალურ შეჯიბრებათა ფინალურ გათამაშებაში დაიკავებენ I-II ადგილებს, 1971 წელს გადავლენ II ჯგუფში.

დადგენილია ასაკობრივი შეზღუდვები, რომელთა მიხედვითაც ყოველ მატჩში გუნდს უფლება აქვს მინდორზე ერთდროულად ჰყავდეს 1947-48 წლებში დაბადებული 6 მოთამაშე, 5 დანარჩენი კი შეუზღუდავად. ყოველი გუნდის განაცხადში 18 მოთამაშეა და სეზონის მსვლელობაში ხელმძღვანელობას უფლება აქვს საგანაცხადო სიაში შეცვალოს 5 მოთამაშე. I და II ჯგუფების გუნდების მატჩებში ნებადართულია 3 მოთამაშის შეცვლა.

სპორტული ორგანიზაციები გაფრთხილებული არიან, რომ თუ მათს გამგებლობაში მყოფი გუნდები არ აანაზღაურებენ 1970 წლის გათამაშებაში მონაწილეობის ხარჯებს, 1971 წლის შეჯიბრებაში არ დაიშვებიან.

თუ გუნდი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა კალენდარულ მატჩზე, იგი მოიხსნება გათამაშებიდან და დაკარგავს უფლებას 1971 წლის რესპუბლიკურ პირველობაზე ითამაშოს იმავე ჯგუფში.

რესპუბლიკური ჩემპიონატის მთავარ მსაჯად დანიშნულია საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. შავდია.

ᲛᲘᲜᲘᲜᲙᲐᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲔᲠᲗᲘᲡ სპორტულ ბაზაზე გამართულ საკონტროლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მინსკის „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელთა გუნდები.

გაიმარჯვეს მინსკელებმა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა მალოფეევმა.

Ш. ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ.

სოხუმი. (ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲠ.).

ᲓᲐᲤᲣᲡᲢᲔᲑᲐ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲨᲘ

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ მოახდინა რამდენიმე დაზუსტება საკავშირო ჩემპიონატის კალენდარში. 8 მარტის მატჩი ცსკა-სა და „შახტიორს“ შორის ჩატარდება ბაქოში. 15 მარტს სოჩში ითამაშებენ კიევის „დინამო“ და ორჯონიკიძის „სპარტაკი“, ხოლო გროზნოში — „ზარია“ და მინსკის „დინამო“.

სოჩში 21 მარტს ერთმანეთს ხვდებიან „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ზარია“ და 2 აპრილს — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე).

მოსკოვის „დინამო“ 21 მარტს „ჩერნომორეცთან“ ითამაშებს სამარაანდში. 2 აპრილს ფრუნზეში ერთმანეთს შეხვდებიან „ზენიტი“ და ცსკა.

ᲫᲛᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲖᲔ...

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ცურვის ფედერაციამ შეჯიბრების წესებში საკმაო ცვლილებები შეიტანა. გამონაკლისს არც გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მიერ 1965 წელს დაწესებული პრიზი — „მხიარული დელფინი“ წარმოადგენს, რომლის მოპოვებისთვისაც სსრ კავშირის ბავშვთა 120 სპორტული სკოლა და სექცია იბრძვის.

ამიერიდან, „სოვეტსკი სპორტის“ პრიზს ნორჩი მოცურავეები ოთხის მაგიერ ორ ეტაპზე გაითამაშებენ. ამასთან, ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ორი ასაკობრივი (ნაცვლად ოთხისა) ჯგუფის — 9-10 და 11-12 წლის სპორტსმენები.

ამას წინათ თბილისში „შრომითი რეზერვების“ ზამთრის აუზში დამთავრდა „მხიარული დელფინის“ პირველი ეტაპი თბილისელი სპორტსმენებისთვის.

11-12 წლის გოგონების პირად პირველობაში ჯარგად გამოვიდა მ. კირდიანოვა — საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ბრასისტის ი. კირდიანოვის და. 100 მეტრზე ბრასით ცურვაში მან 1.18,1 აჩვენა და მხოლოდ 1,6 წამი დაკარგა მოზრდილთა I თანრიგის ნორმატივის შესრულებამდე.

საერთო გუნდური პირველობა ნორჩმა დინამოელებმა მოიგეს — 259 ქულა. განთიადელთა შედეგია 130 ქულა. მესამე იყო თბილისის განათლების განყოფილების გუნდი.

შეჯიბრებაში არ გამოვიდნენ „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენები, რასაც ტურნირისადმი ინტერესი საგრძნობლად შეანელა.

Ბ. ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘ.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

9-10 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ

50 მ. თავისუფალი სტილი. მ. კედია (ნორჩი დინამო) — 42,5, ვ. სუკიაშვილი — 42,8, ი. გნოტოვა (ორივე — „განთიადი“) — 43,6; **ბრასი.** თ. ლაშქარაშვილი (ნორჩი დინამო) — 50,5, ა. ნურსანოვა („განთიადი“) — 50,7, კედია — 52,5; **გულაღმა.** ლ. ბახი — 49,4, ლ. მერგელაშვილი — 52,0, ლ. მათიაშვილი (სამივე — ნორჩი დინამო) — 52,2; **ბატერფლაი.** კედია — 51,6, ნ. სუკიაშვილი — 52,2, ლ. ასლამაზოვა (ნორჩი დინამო) — 58,2; **კომპლექსური. 100 მ.** ი. პროსკურინა („ლოკომოტივი“) — 1.42,7, ნ. სუკიაშვილი — 1.49,2, ლაშქარაშვილი (ნორჩი დინამო) — 1.49,3.

11-12 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ

100 მ. თავისუფალი სტილი. ლ. შუტოვა — 1.23,2, ნ. გელაძე — 1.25,3, ნ. მატიუშკინა (სამივე — ნორჩი დინამო) — 1.26,3; **ბრასი.** მ. კირდიანოვა — 1.28,1, გ. იოანიდი (ორივე — ნორჩი დინამო) — 1.31,9, ი. იკოკოშოვა („განთიადი“) — 1.41,0; **გულაღმა.** გელაძე — 1.32,4, ლ. აკოფაშვილი — 1.37,4, ზ. ლაშბაროვა (ორივე — „განთიადი“) — 1.38,6; **ბატერფლაი.** მატიუშკინა — 1.50,8, აკოფაშვილი — 1.54,6, ა. შაგიდულნოვა (ნორჩი დინამო)—1.56,3; **კომპლექსური. 200 მ.** კირდიანოვა — 3.09,7, აკოფაშვილი — 3.25,3, შუტოვა — 3.25,5.

9-10 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ

50 მ. თავისუფალი სტილი. მ. ჩხიკვაძე (ნორჩი დინამო) — 37,5, ი. იეკლეევი („განთიადი“) — 38,0, გ. ყანჩაძე (ნორჩი დინამო) — 38,3; **ბრასი.** გ. ნიკოლაიშვილი („განთიადი“) — 45,2, იეკლეევი — 50,0, ი. ჩხიკვაძე („განთიადი“) — 50,6; **გულაღმა.** იეკლეევი — 44,2, ვ. შველიძე (თბილისის განათლების განყოფილება) — 47,4, ს. სოკოლოვი („განთიადი“) — 47,6; **ბატერფლაი.** ყანჩაძე — 45,8, ნიკოლაიშვილი — 48,2, იეკლეევი — 48,3; **კომპლექსური. 100 მ.** იეკლეევი — 1.35,0, გ. კენჭაძე (ნორჩი დინამო) — 1.37,6, ი. ჩხიკვაძე — 1.41,6.

11-12 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ

100 მ. თავისუფალი სტილი. ა. გრომოვი — 1.16,7, მ. გამჯიაშვილი (ორივე — ნორჩი დინამო) — 1.19,4, ი. ოვსიანიკოვი (თბილისის განათლების განყოფილება)— 1.20,5; **ბრასი.** დ. ელიზბარაშვილი — 1.28,2, ვ. ლუგინი (ორივე — ნორჩი დინამო) — 1.33,8, გ. ჩორგოლაშვილი („განთიადი“)—1.34,1; **გულაღმა.** ი. ნახუცრიშვილი — 1.25,5, ვ. საი — 1.25,9, ვ. მარჭაროვი (ყველა — ნორჩი დინამო) — 1.27,0; **ბატერფლაი.** შაიდულოვი (განათლების განყოფილება)— 1.17,9, გრომოვი — 1.39,3, გამჯიაშვილი — 1.39,9; **კომპლექსური. 200 მ.** შაიდულოვი — 2.52,5, გ. მთვრალაშვილი (ნორჩი დინამო) — 3.09,9, გრომოვი — 3.10,0.

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ

ᲮᲐᲣᲠᲘ

რაიონის მოსწავლე კალათბურთელთა პირველობაში ოგოგოსთა 8 და ჭაბუკთა 10 კოლექტივი მონაწილეობდა. საინტერესო ბრძოლაში გაიმარჯვეს ხაურის რკინიგზის მე-3 სკოლის ოგოგონებმა და სურამის მე-2 სკოლის ჭაბუკებმა.

■ Ნ. ᲜᲝᲖᲐᲫᲔ.

ᲒᲔᲞᲐᲚᲘᲭᲔᲑᲐᲗ „ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ“

სარედაქციო ფოსტაში ხშირად შეხვდებოდით დიდმის მასივის მკვიდრთა წერილებს. ისინი გულისტკივილით გვატყობინებდნენ, რომ მათს საცხოვრებელ მასივში არ არის სპორტული მაღაზია, რომ მათს საცხოვრებელ ადგილზე ინვენტარისა და აღჭურვილობის შესაძენად შორს უხდებათ წასვლა.

საქართველოს სპორტვაჭრობის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა დიდმის მასივის მცხოვრებთა სურვილი და მთავარ მაგისტრალზე — მეგობრობის პროსპექტზე გახსნა სპორტული მაღაზია, რომელსაც „განთიადის“ სახელი დაერქვა. ახალი მაღაზია გემოვნებითაა გაფორმებული. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ სპორტის თითქმის ყველა სახეობისთვის საჭირო ინვენტარი.

— მართალია, მაღაზია მხოლოდ თვეზე მეტია ვაჭრობს, — გვიამბობს „განთიადის“ დირექტორი ბ. რუხაძე, — მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მან უკვე დიდი სამსახური გაუწია მასივში მცხოვრებ სპორტის მოყვარულებს.

ვინც ჯერ კიდევ არ ყოფილხართ ახალ სპორტულ მაღაზიაში, იჩქარეთ, ეწვიეთ მას. აქ გულთბილად მოგემსახურებიან, მოგეხმარებიან საჭირო საქონლის არჩევაში და თქვენც კმაყოფილი დატოვებთ სტუმართმოყვარე მასპინძლებს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: „ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲡᲔᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ფოტო ბ. კეკელიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე

კალათბურთი კოლექტიური თამაშია!



თბილისი. სპორტის სასახლე. 19 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „პოლონია“ (ვარშავა) 92:82 (37:39).

„დინამო“: უგრეხელიძე (17), საკანდელიძე (17), მოსეშვილი (14), ქორქია (14), ბოლქვაძე (10), ჩიხლაძე (8), სხიერელი (4), მაღალაშვილი (4), ლეჟავა (2), ჭუთათელაძე (2), ფიცხელაური.

„პოლონია“: გულა (29), ნოვაკი (26), ანჯეევსკი (14), პისკუნი (5), ვეპეხი (5), ლიკერსკი (3), კობზა, იანკოვსკი

მსაჯები: ა. არაბაჯიანი (ბულგარეთი), ბ. ნოვაკი (ჩეხოსლოვაკია).

ეს იყო უინტერესო მატჩი, თუმცა მას ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ერთ-ერთი ნახევარფინალისტი უნდა გამოეცინა. გულახდილად რომ ვთქვათ, დინამოელთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა მაშინაც კი, როცა „პოლონია“ 5 ქულით დაწინაურდა. თბილისელებმა ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება ფაქტიურად ვარშავის მატჩში გაინაღდეს და შინ მხოლოდ იურიდიულად გააფორმეს ეს უფლება.

შესაძლოა, ნაწილობრივ ეს იყო მიზეზი, რომ თბილისის მატჩი უფერული და მოსაწყენი აღმოჩნდა. და მაინც, დინამოელები საყვედურს იმსახურებენ პირველ ყოვლისა იმის გამო, რომ ლამაზი, ეფექტური გამარჯვების სურვილით შეპყრობილებმა, სავსებით უგულებელყვეს კოლექტივიზმის პრინციპი და ყოვლად გაუმართლებელი პარტიზანული რეიდებით თამაში პრიმიტიული გზით წარმართეს. ჩვენ არ შევუდგებით იმის ჩამოთვლას, თუ რამდენი შეცდომა იქნა დაშვებული შტაკის ცალკეულ ეტაპებზე, ანდა უთავბოლოდ ორგანიზებული დაცვის დროს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ სიჩქარესა და ფუსფუსში პარტნიორები ერთმანეთს ვერ ამჩნევდნენ და ამ მიზეზით ერთიმეორეზე იკარგებოდა ზუსტი და ეფექტური გადაცემის ურიცხვი შესაძლებლობა.

კალათბურთში მთავარი, რა თქმა უნდა, მეტოქის კალათის აღებაა, მაგრამ სწირად დროულ და მახვილგონივრულ გადაცემას უფრო მეტი წონა აქვს, ვიდრე ჩაგდებულ ბურთს. ამ ანბანური ჭეშმარიტების დავიწყება ახალგაზრდებს — გამოუცდელ მებრძოლებს ასე თუ ისე კიდევ ეპატიებათ, მაგრამ „დინამოს“ რანგის ოსტატებისთვის იგი, სხვა რომ არაფერი, უხერხულია.

გუშინწინდელი მატჩი თავისი ხასიათით სამ, მკვეთრად გამოყოფილ პერიოდს შეადგენდა. პირველი პერიოდი ფაქტიურად მე-10 წუთზე დასრულდა. როცა „დინამომ“ დებიუტში მოპოვებული ინიციატივა თანდათან დათმო (იყო მომენტი, როცა იგი 10 ქულითაც კი დაწინაურდა) და ბოლოს მეტოქეს მისცა წინ გასვლის საშუალება (24:22).

მეორე პერიოდში, ანუ მომდევნო 15 წუთში, ერთგვარ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ იგი იმდენად მერყევი და არასაიმედო იყო, რომ მასპინძელთათვის არასასურველ შედეგზე სერიოზულად არავინ ფიქრობდა.

ბოლო პერიოდი, რომელმაც გადაწყვიტა შეხვედრის ბედი, დაახლოებით 26-ე წუთიდან დაიწყო: თბილისელებმა რამდენიმე ელვისებური მანევრით აღადგინეს ეგრეთ წოდებული სტატუს კვო. მიიღეს თუ არა ხელსაყრელი პოზიცია, მათ თამაში მშვიდ დაბოლოებაში გადაიყვანეს, სადაც „თეთრების“ უპირატესობა უკვე აშკარა იყო.

ნ. გუგუშვილი.

* * *

ს ურ ა თ ს ე: ვ. უგრეხელიძე მისთვის ჩვეულ ნახტომში დაეუფლა ბურთს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

2 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში სტარტს აიღებს სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა XXXVII ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ტური. გთავაზობთ შეხვედრათა კალენდარს:

2 მარტი. 10 ს. „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) — ასკ (რიგა), 11.45. „სპარტაკი“ (ლენინგრადი)—„სტროიტელი“ (კიევი), 15.00. „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა, 16.45. „უალგირისი“ (კაუნასი)—„კალევი“ (ტარტუ), 18.30. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), 20.15. „დინამო“ (თბილისი) — ასკ (კიევი).

3 მარტი (მატჩების დაწყების საათები იგივეა). ცსკა — „ლოკომოტივი“, ასკ (რიგა) — „სპარტაკი“, ასკ (კიევი) — „უალგირისი“, „სტროიტელი“ — „დინამო“ (მოსკოვი), „კალევი“ — „ბურევესტნიკი“, „ურალმაში“—„დინამო“ (თბილისი).

4 მარტი. „უალგირისი“ — ასკ (რიგა), „დინამო“ (მოსკოვი) — „ურალმაში“, „ლოკომოტივი“ — ასკ (კიევი), „სპარტაკი“ — ცსკა, „ბურევესტნიკი“ — „სტროიტელი“, „დინამო“ (თბილისი) — „კალევი“.

6 მარტი. „ურალმაში“ — „სპარტაკი“, „კალევი“—„ლოკომოტივი“, ასკ (რიგა) — „დინამო“ (მოსკოვი), ცსკა — „უალგირისი“, ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი“, „სტროიტელი“— „დინამო“ (თბილისი).

5 მარტი — დასვენების დღე.

7 მარტი. „ლოკომოტივი“— „სტროიტელი“, „უალგირისი“— „ურალმაში“, „სპარტაკი“— ასკ (კიევი), „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“, „ბურევესტნიკი“ — ცსკა, „დინამო“ (თბილისი) — ასკ (რიგა).

8 მარტი. 11.00. „ურალმაში“ — „ლოკომოტივი“, 12.45. ასკ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი), 14.30. „კალევი“—„სპარტაკი“, 16.15. „სტროიტელი“ — „უალგირისი“, 18.00. ასკ (რიგა)—„ბურევესტნიკი“ თბილისი), 19.45. ცსკა — „დინამო“ (თბილისი).

ნახევარფინალი გაინაღდეს

მოსკოვი, 19 თებერვალი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა-სა და საფრანგეთის „ვილერბანის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდები. მასპინძლებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 109:70 (48:31).

განმეორებითი მატჩის შედეგის მიუხედავად (იგი ჩატარდება 26 თებერვალს საფრანგეთში) მოსკოვის არმიელებს განაღდებული აქვთ ნახევარფინალში მონაწილეობა.

იმავე დღეს ვარეზეში (იტალია) გაიმართა მეოთხედფინალური ჯგუფის მეორე წყვილის შეხვედრა. იტალიის ჩემპიონმა „ინისმა“ დამაჯერებლად მოუგო იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდას“ — 99:65 (60:24) და, ფაქტიურად, მახსოვოა ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ჯ.
ცსკა (სსრ კავშირი)	5	4	1	441—383	4
„ინისი“ (იტალია)	5	4	1	410—346	4
„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია)	5	1	4	388—439	1
„ვილერბანი“ (საფრანგეთი)	5	1	4	359—430	1

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე

ვრთპიროვნული ლიდერი

რიგა, 19 თებერვალი. გუშინ აქ ადგილობრივმა ტტტ-მ ჩაატარა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური ტურნირის მორიგი კალენდარული შეხვედრა. მისი მეტოქე იყო იუგოსლავიის ჩემპიონი „ვოივოდინა“. რიგელმა კალათბურთელმა ქალებმა იოლად გაიმარჯვეს — 93:61 (46:26).

გთავაზობთ გათამაშების ცხრილს:

	თ.	მ.	წ.	ბ.	ჯ.
ტტტ (სსრ კავშირი)	3	3	0	206—140	3
„ვოივოდინა“ (იუგოსლავია)	1	0	1	61—93	0
„ვისლა“ (პოლონეთი)	2	0	2	79—113	0

ლ. რუდენკო: „ასეთი მსოფლიო ჩემპიონი ჯერ არ გვყოლია“

საბჭოთა სამყაროში დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა და იუგოსლავიელ მოჭადრაკე ქალთა ამსწინანდელმა მეჯობრულმა მატჩმა, რომელიც ჩვენებმა შთამბეჭდავი ანგარიშით (17,5:6,5) მოიგეს. ეს იყო მათი პირველი შეხვედრა. ადრე მოჭადრაკე ქალები (სამნი) ამ ორი ქვეყნის ვაჟებთან ერთად გამოდიოდნენ და საერთო შედეგებში მათი წვლილი არ ჩანდა. გამოჩენილი იუგოსლავიელი ოსტატის მ. ლაზარევიჩის თაოსნობით ახლა ქალები ცალკე გუნდით (თითოეულში 6 მოჭადრაკე) გამოვიდნენ.

— ვიყოთ გულახდილნი, — თქვა ლაზარევიჩმა, — შეხვედრის ანგარიში უფრო ერთდროული თამაშის სეანსის შედეგს ჰგავს. მაგრამ ჩვენმა მოჭადრაკეებმა დიდად არ უნდა ინაღვლონ... უარესიც ხდება.

და ლაზარევიჩმა გაისვენა, რომ იუგოსლავიელებმა ბუქარესტში რუმინელებს მოუგეს ანგარიშით 12,5:3,5, ხოლო ბელგრადში რუმინელებმა გაიმარჯვეს — 12:4.

ლაზარევიჩის აზრით, იუგოსლავიელთა გუნდში შტადლერი, ლილიანკი და კონარკოვსკა-სოკოლოვა რომ გამოსულიყვნენ, ანგარიში, ალბათ, სხვა იქნებოდა. შეიძლება, მაგრამ ნანა ალექსანდრიას რომ ეთამაშა, მაშინ?

ამიტომ უფრო მართალია იუგოსლავიელთა კაპიტანი მ. პეტრონიჩი. მისი აზრით, მეგობრული მატჩი შეეწინააღმდეგა სისტემით უნდა ტარდებოდეს, როცა ერთი გუნდის ყველა წევრი მეორე გუნდის ყველა წევრს ხვდება. ეს იქნება ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საუკეთესო შესაძლებლობა.

რა თქმა უნდა, ჩვენი მოჭადრაკეები დიდად კმაყოფილი არიან წარმატებით. მატჩის მთავარი არბიტრი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლ. რუდენკო ამბობს: „ალბათ, დადგა დრო, რომ ჩვენმა ქალთა გუნდმაც ითამაშოს მატჩი დანარჩენ მსოფლიოსთან“.

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენში გამართულ ქალთა საერთაშორისო მატჩებს, ადვილად შეგამჩნევთ, რომ დღეს საბჭოთა მოჭადრაკეები ბევრად ძლიერი არიან. რუდენკოს აზრით, ეს წარმატება შედეგია იმ ყოველდღიური ზრუნვისა, რასაც წამყვანი მოჭადრაკეების მიმართ იჩენს საბჭოთა ნაკრების მწვრთნელი ა. კონსტანტინოპოლსკი. იგი ფიქრობს, რომ საბჭოთა მოჭადრაკეები კარგად გამოვლენ საზონთაშორისო ტურნირში.

„მაგრამ ყველაზე მეტად ნონა გაფრინდაშვილმა გამაოცა თავისი თამაშით, ჩინებული ოსტატის თამაშით, სადაც სქესის გამო შეღავათი საჭირო არ არის,—წერს რუდენკო. — „ჩვენს ორმოცდაათიან წლებში“ არ იგრძნობოდა მსოფლიო ჩემპიონის ასეთი ამაკარა უპირატესობა უახლოეს მეტოქეებთან შედარებით. ჩემს დროს, ე. ბიკოვასა და ე. რუბცოვას დროს, იყვნენ მოჭადრაკეები, რომლებიც ან ჩვენი ძალით თამაშობდნენ, ან ოდნავ ჩვენზე უარესად. ნონა კი, ჩემი აზრით, მთელი კლასით უკეთ თამაშობს. დიახ! ასეთი მსოფლიო ჩემპიონი ჯერ არ გვყოლია“.

ლაზარევიჩიც აქებს საბჭოთა კოლეგებს. „მე ვიცოდი, რომ ნონასთან მომიწევდა თამაში და მაინც დიდი ანგარიშით (0,5:3,5) წავაგე. დაფასთან დაცვა ვერ შევძელი და ნება მიბოძეთ დავიცვა თავი სტანდარტული სიტყვებით: „ფორმაში არ ვიყავი“, — ამბობს იუგოსლავიელი მოჭადრაკე.

მან ხოტბა შეასხა საბჭოთა გუნდის სხვა წევრებსაც, მაგრამ აღნიშნა, რომ ე. რუბცოვა და ნ. კონოპლიოვა ჯერ არ არიან საერთაშორისო კლასის მოჭადრაკეები და ამიტომ საზონთაშორისო ტურნირში მათი გამარჯვება ეჭვის ქვეშ დააყენა. „ვიცი, რომ გამარჯვებულთა სამეულში ნაღდად მხოლოდ ნანა ალექსანდრია შევა“, — თქვა ლაზარევიჩმა.

ბ. კუშნირმა მომავლის ასპექტში განიხილა ჩვენი ქალების გამარჯვება. „კარგია, რომ მსოფლიოში მეორე საჭადრაკო ქვეყნის — იუგოსლავიის წარმომადგენლებს დიდი ანგარიშით მოვუგეთ, — წერს მოსკოველი ოსტატი. — ეს ჩვენი უპირატესობის დადასტურებაა, მაგრამ შემოქმედებითი ზრდისთვის აუცილებელია კონკურენცია და სტიმული. ამ მატჩების გზით ქალთა ჭადრაკის კლასის დონეს ვერ ავამაღლებთ“.

ეს საკითხი ქალთა ჭადრაკის მეცნიერებსაც აღელვებთ. ქალები ჯერ კიდევ ვაჟებზე სუსტად თამაშობენ. ამას ლაზარევიჩი ასე ხსნის:

„ქალები ისე სუსტად როდი ვთამაშობთ, როგორც ვაჟებს უყვართ თქმა. ზოგიერთი დიდოსტატი ვაჟის მსგავსად, 12 სვლაში ყიმს რომ აკეთებდნენ, რასაკვირველია, მათი პარტიებიც „უშეცდომო“ იქნებოდა, მაგრამ ქალები უშეღავათოდ, როგორც იტყვიან, გამარჯვებამდე თამაშობენ. ოღონდ ესაა, მათ ვაჟებზე ნაკლები ფიზიკური ძალა აქვთ. შეცდომები, რომელთაც ქედმაღლურად დასცინიან ვაჟები, დაღლისა და ნაკლები ვარჯიშის შედეგია.

მე, რა თქმა უნდა, არ უარვყოფ ფაქტს: ამჟამად ოსტატი ვაჟები, როგორც წესი, უფრო ძლიერად თამაშობენ, ვიდრე ოსტატი ქალები. მაგრამ ვიყოთ ობიექტურნი: მსოფლიოში რამდენი ვაჟი მეცადინეობს აქტიურად ჭადრაკში? ვთქვათ, 3 მილიონი. შეიძლება ამ რიცხვიდან 300 კარგი მოთამაშე შეირჩეს? რა თქმა უნდა. რა მდგომარეობაა ქალებში? მთელს მსოფლიოში მხოლოდ 3 ათასი მოჭადრაკე ქალია, რამდენი კარგი მოთამაშე გსურთ მიიღოთ ამ უმნიშვნელო რიცხვიდან?

ქალები არც ისე დიდი ხნის წინ — ჩვენი საუკუნის 20-ანი წლებიდან დაუახლოვდნენ ჭადრაკს, ვაჟები უკვე რამდენიმე საუკუნეა თამაშობენ. მოგვეცით შესაძლებლობა თუნდაც 100 წელიწადს ვითამაშოთ და მერე ვნახოთ, — ვინ ვის!

გაიზრდებიან თუ არა ამ 100 წლის მანძილზე ვაჟებიც? არა მგონია. განა სტეინიცი, ზიგორინი, ლასკერი, კაპაბლანკა და ალიოხინი თანამედროვე დიდოსტატებზე სუსტად თამაშობდნენ? ჭადრაკი, როგორც თამაში, ძალიან ნელა ვითარდება. და ეჭვი არ მეპარება, რომ ბოლოს და ბოლოს მოჭადრაკე ქალები არა თუ გაუტოლდებიან ვაჟებს თამაშის დონეს, არამედ გაუსწრებენ კიდეც მათ. ჭადრაკი ქალებისთვის შედარებით ახალი ხელია, ამიტომ ისინი ბრძოლაში მეტ შემოქმედებით ძალას აქსოვენ, ხოლო საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას მუდამ პროგრესისკენ მივყავართ“.

თ. გიორგაძე.

ჩვენს ბანერ რესპუბლიკებში

ქარხნის სპორტული ცხოვრება

ქარხანა „აქტიუბრენტგენის“ ყოველმა საამქრომ გამოიყვანა გუნდი ამ საწარმოს ჯანმრთელობის სპარტაკიადაში. შეჯიბრება საშუალო და უფროსი ასაკის მუშებსა და სპეციალისტებს შორის ტარდება. პროგრამაში შედის ფეხბურთი და კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და შაიბიანი ჰოკეი, ჭადრაკი და შაში. უკვე დამთავრდა ფრენბურთელთა შეხვედრები, სადაც გაიმარჯვა 27-ე საამქროს გუნდმა.

— სპარტაკიადა წარმატებით ტარდება. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს აქტივისაც, — ამბობს ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავჯდომარე ვ. ედანოვი. — ყველა საამქროში გვყავს არჩეული ინსტრუქტორ-მეთოდისტები, ჩვეულებრივ დღეებში ისინი საწარმოო ტანვარჯიშს ატარებენ, ახლა კი სპარტაკიადის ორგანიზაციაშიც გვეხმარებიან. მონდომებით მუშაობენ საამქროს უფროსი გ. კურილო, ხარატი მ. ლოხმატოვი და სხვა აქტივისტები.

შეხვედრები უმთავრესად შაბათ-კვირას ტარდება. ყველაზე პოპულარულია თხილამურებით რბოლა. ჯანმრთელობის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულია შეჯიბრებები ქალებისთვის 1500 მეტრზე, ვაჟებისთვის — 5 და 10 კილომეტრზე. ამასთან, ტარდება ქარხნის ახალგაზრდობის ზამთრის სპარტაკიადა 300 ჭაბუკისა და ქალიშვილის მონაწილეობით.

საწარმოს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო, პროფკავშირული ორგანიზაციის დახმარებით სისტემატურად და მრავალმხრივ იზიდავს მუშა-მოსამსახურეებს სპორტში. ეს დაიწყო 5 წლის წინ, როცა ქარხანამ ჩინებული სპორტდარბაზი აიგო. აქვთ თავისი სტადიონი, ჰოკეის დარბაზი. „ლოკომოტივისგან“ ქარხანას იჯარით აქვს აღებული საცურაო აუზი თავისი მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისთვის. შექმნილია სამი „ჯანმრთელობის ჯგუფი“. ხშირად ეწყობა ტურისტული ლაშქრობები, ლექცია-საუბრები ფიზკულტურასა და სპორტზე.

ამ ქარხნის წარმომადგენლებს ბევრჯერ მოუპოვებიათ გამარჯვება აქტიუბინსკისა და მთელი ოლქის ხელბურთელთა და კალათბურთელთა შეჯიბრებებში. მათ მოიპოვეს ქალაქის თასი ფრენბურთსა და ფეხბურთში. სპორტი ხელს უწყობს შრომისნაყოფიერების ამაღლებას. ზეინკალ დ. დუბენეცს ფეხბურთსა და შაიბიან ჰოკეიში პირველი თანრიგები აქვს და ამავე დროს საუკეთესო მუშადაც ითვლება. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ა. როტმისტროვსკი.

(უაზახეთის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

ალმა-ათა.

ირკუტსკში დაიწყო მესამე ეტაპი საოლქო მასობრივი საჭადრაკო ტურნირისა, რომელსაც „ტრუდის“ ცენტრალური საბჭო და გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ რედაქცია ატარებენ.

ამ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება 22 უძლიერესმა პირველთანრიგოსანმა და სპორტის ოსტატობის კანდიდატმა მოიპოვა რაიონულ და საქალაქო ტურნირებში, რომლებშიც 11 ათასი მოჭადრაკე მონაწილეობდა. ირკუტსკის საჭადრაკო კლუბში თვი მოიყარეს ირკუტსკის, ანგარსკის, ბრატსკის, უსოლიე-სიბირსკისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლებმა, რათა ზონალური ტურნირის (ჩატარდება კრასნოიარსკში) საგზურისთვის იბრძოლონ.

სურათზე: მიმდინარეობს ტურნირი. წინა პლანზე — სპორტის ოსტატობის კანდიდატი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი ვ. ნადელიაევი.

ფოტო გ. ზახარჩუკისა (საკდესი).

ახალი შევსება

უაზახეთის ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებულმა ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა დახელოვნების ფაკულტეტმა, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში, ორი წლის მანძილზე 5 რესპუბლიკის 200 მასწავლებელი მოამზადა. მათ ლექციებს უკითხავდნენ გამოჩენილი მეცნიერები. ახლა ფაკულტეტის აუდიტორიას შეემატება მორიგი ნაკადი — შუა აზიის რესპუბლიკებისა და უაზახეთის ინსტიტუტების 60-ზე მეტი სპეციალისტი.

რ. ალექსეევი.

(უაზახეთის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

ალმა-ათა.

რიგის მოტოციკლი

ახალი სარბოლო მოტოციკლი „რიგა-9 ს“ საგზატკეცილო ტრასაზე საათში 120 კმ სისწრაფით მიჰქრის. საცდელი პარტია ამ მსუბუქი, სწრაფი მანქანებისა, რომელთაც 9-ძალიანი ძრავა და ხუთსაფეხურიანი გადაცემათა სისტემა აქვთ, დამზადდა რიგის ქარხანა „სარკანა ზვაიგზნეში“. მოტოციკლის ერთ-ერთმა ავტორმა, კონსტრუქტორმა ა. სმერტიევმა, რომელმაც მანქანა შარშან ქვეყნის პირველობაში გამოსცადა, ჩემპიონის წოდება მიიღო.

ამ ქარხანაში დამზადებულია მოტოციკლის მოდელი მრავალდღიანი რბოლისთვის — „რიგა-6 უ“, რომელსაც 50 კბ სმ მოცულობის ცილინდრი აქვს და 80 კილომეტრზე მეტ სისწრაფეს ანვითარებს.

ი. ბუშინი.

(ლატვიის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

რიგა.

„შრომისა და დღეგრძელობისთვის“

ქალაქ ედანოვის ყოველი მეოთხე მცხოვრები ფიზიკურ კულტურას მისდევს — ასეთია ახლახან დამთავრებული სპორტული სამწლედის მთავარი შედეგი. 1967 წლის დამდეგს ქარხანა „ტიაჟმაშის“ მუშათა თაოსნობით ენთუზიასტებმა ხელი მოჰკიდეს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივ განვითარებას საწარმოებსა და მშენებლობებზე, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, ბავშვთა კოლექტივებში.

და აი, ფინიში. სამი წლის განმავლობაში ედანოვში მომზადდა 65 სპორტის ოსტატი და ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 936 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. თითქმის 55 ათასმა კაცმა მიიღო თანრიგოსანი სპორტსმენის წოდება.

მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში გაჩნდა ახალი სპორტული სექციები. მაგალითად, აფრანსნობის სექციას ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები, ადგილობრივი სპორტსმენები ა. ჩერედნიჩენკო და ა. კოსტანსკი. საწარმოს სიამაყეა ტურისტული კლუბი, რომელიც 13 ათასზე მეტ კაცს აერთიანებს. მან III ადგილი დაიკავა საკავშირო დათვალიერება-კონკურსში. ტრადიციად იქცა ყოველწლიური საქარხნო შეჯიბრებები, გარდამავალი თასების გათამაშება ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში. პოპულარულია სპარტაკიადები „შრომისა და დღეგრძელობისთვის“, ახალგაზრდული საერთო საცხოვრებლების ფიზკულტურელთა შეჯიბრებები, ბავშვთა ეზოს გუნდების მატჩები.

სპორტულ სამწლედში დიდ წარმატებებს მიაღწიეს „აზოვსტალის“, ილიჩის სახელობის, კოქსოქიმიური ქარხნების, აგრეთვე, ედანოვის მეტალურგიული ინსტიტუტის ფიზკულტურელებმა.

ი. დიაჩკოვა.

(უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

ედანოვი.

2:0, 2:0, 2:1

ლეიონი, 19 თებერვალი. მექსიკის ამ ქალაქის სტადიონზე, სადაც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან ბულგარეთის, გფრ-ის, პერუსა და მაროკოს ფეხბურთელები, დიდი ინტერესი გამოიწვია მექსიკისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების მატჩმა.

30 ათასი მაყურებლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა: მექსიკელებმა კარგად ითამაშეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს — 2:0. ორივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა, მას შემდეგ, რაც მომავალი ჩემპიონატის მასპინძელთა მწვრთნელმა კარდენასმა თავდასხმის ხაზი შეცვალა — ბასტოსი, პადილიო და ფრანგოზო მინდვრიდან გაიყვანა და მათ ნაცვლად რივასი, ბასაგურენი და ლ. სალდაგო შემოიყვანა. ბურთები სწორედ რივასმა და ბასაგურენმა გაიტანეს.

რიო-დე-ჟანეირო, 19 თებერვალი. „მარაკანას“ სტადიონზე რუმინეთის ნაკრებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა ბრაზილიის „ვასკო და გამა“. ბურთები შესვენების შემდეგ გაიტანეს დუმიტრაკემ და ნეაგუმ.

სევილია, 19 თებერვალი. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ესპანეთის ამ ქალაქში ამავე სახელწოდების ადგილობრივ კლუბს მოუგო — 2:1 („სევილია“ ესპანეთის უმაღლეს ლიგაში თამაშობს). ბურთები გაიტანეს: სტუმართაგან — უგოლიჩკამ და ადამეცმა, მასპინძელთაგან — ჩაკონმა. მატჩმა 35 ათას მაყურებელს მოუყარა თავი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ფეხბურთი

ქალაქ ქვეყანა

● **პერტი**, 18 თებერვალი. აქ — დასავლეთ ავსტრალიის შტატის დედაქალაქში — მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა თავისი ავსტრალიური ტურნეს პირველი მატჩი გამართა. სტუმრები შტატის ნაკრებს შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:0. შესვენებამდე ბურთი გაიტანა ევრიუჟინინმა, მეორე ტაიმში კი — სიმონმა, ანიჩკინმა და ეშტრეკოვმა (2).

● **მოსკოვი**, 19 თებერვალი. ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დღეს გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი შაიბიან ჰოკეიში. „ადგილობრივმა „სპარტაკმა“ დაამარცხა თანაქალაქელი დინამოელები — 2:1. პირველი პერიოდის მე-15 წამზე ანგარიში გახსნა სპარტაკელმა მარტინიუკმა, მე-18 წუთზე კი დაწინაურებულთა კაპიტანმა სტარშინოვმა მეორე შაიბა გაიტანა. მეორე პერიოდის მაწურულს დინამოელმა ბელონოჟკინმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მერე კი ადარაფერი შეცვლილა. ამრიგად, „სპარტაკმა“ პირველად მოიპოვა თასი.

● **ბუდაპეშტი**, 19 თებერვალი. ფაშისტური უღლისგან უნგრეთის დედაქალაქის განთავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის IX ტურში ბ. კერესმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლაველ ბ. ივკოვთან და ლიდერობა შეინარჩუნა — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. რ. ხოლმოვმა და ა. სეეტინმა ავადმყოფობის გამო ამ ტურში ვერ ითამაშეს, ი. ავერბახ — ლ. საბოს (უნგრეთი) პარტია კი გადაიდო.

● **სოფია**, 19 თებერვალი. ი. ბლაგოევა ევროპაში მესამე მხტომელი გახდა, ვინც წლეულს 180-სანტიმეტრიანი ზღვარი, გადალახა: დედაქალაქის „საფსტივალო“ დარბაზში გამართულ ეროვნულ ჩემპიონატში იგი 181 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო. ი. ხრისტოვამ 17,58 მეტრზე ჰკრა გირთვი, ხოლო ევროპის ექს-ჩემპიონმა გ. სტოიკოვსკიმ სამხტომში 15,70 მ აჩვენა. 60 მეტრზე რბენაში (სარბენი ბილიკი დაფარულია „ზებრანით“ — ტარტანის ბულგარული ნაირსახეობით) გაიმარჯვა პოლონელმა სტუმარმა ზ. ნოვოშჩმა — 6,6 წამი.

● **ლიუგლიანა**, 19 თებერვალი. ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიო პირველობისთვის იუგოსლავიის ამ ქალაქის სპორტის სასახლეში 15 ქვეყნის 122 წარმომადგენელი იბრძოლებს. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდები (16-16 ფიგურისტი) ეყოლებათ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს. 15 მონაწილეს გამოგზავნის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფედერაცია, იტალია კი მხოლოდ ერთი ფიგურისტი ქალით იქნება წარმოდგენილი.

● **ნიუ-იორკი**, 19 თებერვალი. მექსიკის ოლიმპიადის ჩემპიონმა, მსოფლიო რეკორდსმენმა სიგრძეზე ხტომაში ბ. ბიმონმა კიდევ ახალი გადაწყვეტილება მიიღო: მან განაცხადა, რომ შესაძლოა მოყვარული მძღოლისნის კარიერაზე უარი თქვას და 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში არ გამოვიდეს. ახლა იგი ფიქრობს გახდეს პროფესიონალი კალათბურთელი.



კრივი. სპორტის სასახლე. 21-24 თებერვალი. პროფკავშირთა საკავშირო პირველობის ზონალური შეჯიბრება (მონაწილეობენ აზერბაიჯანის, მოლდავეთის, სომხეთისა და საქართველოს პროფკავშირთა უძლიერესი მოკრივეები). დასაწყისი 19 ს.

მძლეოსნობა. იპოდრომი. 22 თებერვალი. თბილისის საგაზაფხულო პირველობა კროსში. მონაწილეობენ საწარმოთა კოლექტივების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლების გუნდები. დასაწყისი 11 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 10. უე 04159